

# ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (C#-ის ბაზაზე)

## II სემესტრი 2017-2018 წელი

### (I შუალედური ტესტირების ნიმუში)

#### კითხვა 1

წინაპარი არის კლასი, რომლის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად არ ხდება სხვა ახალი კლასის წევრები
- b. მხოლოდ ცვლადები ხდება სხვა ახალი კლასის წევრები
- c. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად ხდება სხვა ახალი კლასის წევრები

#### კითხვა 2

მემკვიდრე არის კლასი, რომელიც:

აირჩიეთ ერთი:

- a. წინაპრის კლასის წევრებს ახალ წევრებს არ უმატებს
- b. წინაპრის კლასის წევრებს მხოლოდ მეთოდებს უმატებს
- c. წინაპრის კლასის წევრებს ახალ წევრებს უმატებს

#### კითხვა 3

მემკვიდრე კლასი წინაპარი კლასისაგან:

აირჩიეთ ერთი:

- a. მემკვიდრეობით იღებს ყველა წევრს
- b. მემკვიდრეობით არ იღებს ყველა წევრს
- c. მემკვიდრეობით იღებს მხოლოდ ინდექსატორებს

#### კითხვა 4

როცა განზრახ ვმალავთ წინაპარი კლასის წევრს, მაშინ მემკვიდრე კლასის შესაბამისი წევრის წინ მოთავსებული new ოპერატორი:

აირჩიეთ ერთი:

- a. ახდენს ობიექტის შექმნას
- b. არ ახდენს ობიექტის შექმნას
- c. ახდენს კლასის შექმნას

#### კითხვა 5

წინაპარი კლასის დამალულ წევრთან მიმართვისათვის გამოიყენება:

აირჩიეთ ერთი:

- a. protected სიტყვა
- b. public სიტყვა
- c. base სიტყვა

### კითხვა 6

რომელი მსჯელობაა სწორი:

აირჩიეთ ერთი:

- a. მემკვიდრე კლასი შეიძლება იყოს წინაპარი სხვა კლასებისათვის
- b. მემკვიდრე კლასი არ შეიძლება იყოს წინაპარი სხვა კლასებისათვის
- c. წინაპარი კლასი არ შეიძლება იყოს მემკვიდრე სხვა კლასებისათვის

### კითხვა 7

კლასების იერარქიაში კონსტრუქტორების გამოძახების რიგითობაა:

აირჩიეთ ერთი:

- a. წინაპარი კლასიდან მემკვიდრე კლასისაკენ
- b. მემკვიდრე კლასიდან წინაპარი კლასისაკენ
- c. წინაპარი კლასიდან წინაპარი კლასისაკენ

### კითხვა 8

კლასების იერარქიაში თუ არ გამოიყენება base სიტყვა, მაშინ:

აირჩიეთ ერთი:

- a. არ გამოიძახება თითოეული წინაპარი კლასის ავტომატური კონსტრუქტორი
- b. გამოიძახება თითოეული წინაპარი კლასის ავტომატური კონსტრუქტორი
- c. გამოიძახება თითოეული მემკვიდრე კლასის ავტომატური კონსტრუქტორი

### კითხვა 9

მემკვიდრე კლასი:

აირჩიეთ ერთი:

- a. არათავსებადია საბაზო კლასთან
- b. თავსებადია საბაზო კლასთან
- c. ხან თავსებადია, ხან არა

### კითხვა 10

ობიექტის ტიპის დაყვანის შემთხვევაში, მიმართვა შეგვეძლება მხოლოდ იმ წევრებთან, რომლებიც:

აირჩიეთ ერთი:

- a. განსაზღვრულია იმ კლასში, რომლის ტიპზეც არ ხდება დაყვანა
- b. არაა განსაზღვრული იმ კლასში, რომლის ტიპზეც ხდება დაყვანა
- c. განსაზღვრულია იმ კლასში, რომლის ტიპზეც ხდება დაყვანა

### კითხვა 11

კლასები არათავსებადია, თუ:

აირჩიეთ ერთი:

- a. ერთი კლასი არ არის მეორე კლასის მემკვიდრე
- b. ერთი კლასი არის მეორე კლასის მემკვიდრე

C. თუ ერთ-ერთი კლასი პრივატულია

### კითხვა 12

თვისება არის კლასის წევრი, რომელიც საშუალებას გვაძლევს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ვიმუშაოთ მხოლოდ მასივებთან
- b. მეთოდების საშუალებით მივიღოთ ან შევცვალოთ ცვლადების მნიშვნელობები
- c. ვიმუშაოთ მხოლოდ წილადებთან

### კითხვა 13

თვისება შედგება:

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ public მოდიფიკატორიანი მეთოდებისაგან
- b. მხოლოდ სტატიკური ცვლადებისაგან
- c. მიმართვის get და set მეთოდებისაგან

### კითხვა 14

თვისების get მეთოდი გამოიყენება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ცვლადის მნიშვნელობის მისაღებად
- b. ცვლადის მნიშვნელობის შესაცვლელად
- c. ცვლადის მნიშვნელობისათვის წილადის მისანიჭებლად

### კითხვა 15

რომელი ოპერატორების გადატვირთვა არ შეიძლება:

აირჩიეთ ერთი:

- a. + , <
- b. && , ||
- c. \* , >=

### კითხვა 16

რომელი ოპერატორების გადატვირთვა შეიძლება:

აირჩიეთ ერთი:

- a. / , %
- b. ? , =
- c. new , >

### კითხვა 17

დელეგატი არის ობიექტი, რომელიც:

აირჩიეთ ერთი:

- a. მეთოდს მიმართავს

- b. მეთოდს არ მიმართავს
- c. ობიექტს მიმართავს

### კითხვა 18

რომელი მსჯელობაა სწორი:

აირჩიეთ ერთი:

- a. დელეგატი არის ობიექტი
- b. დელეგატი არ არის ობიექტი
- c. დელეგატი არის მეთოდი

### კითხვა 19

მოვლენის შესახებ უწყების მისაღებად წინასწარ:

აირჩიეთ ერთი:

- a. არ უნდა იყოს რეგისტრირებული ამ მოვლენის დამამუშავებელი თითოეული ობიექტისათვის
- b. უნდა იყოს რეგისტრირებული ამ მოვლენის დამამუშავებელი ობიექტის გარეშე
- c. უნდა იყოს რეგისტრირებული ამ მოვლენის დამამუშავებელი თითოეული ობიექტისათვის

### კითხვა 20

რადგან მოვლენის დამამუშავებელი ცალ-ცალკე რეგისტრირდება თითოეული ობიექტისათვის, ამიტომ:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა ობიექტი ერთდროულად იღებს უწყებას მომხდარი მოვლენის შესახებ
- b. თითოეული ობიექტი ცალკე იღებს უწყებას მომხდარი მოვლენის შესახებ
- c. არც ერთი ობიექტი არ იღებს უწყებას მომხდარი მოვლენის შესახებ